გამარჯვება მეტოქის მინდორზე

დნეპროპეტროვსკი. `მეტეორის" სტადიონი. 2 მაისი.

`დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) - `დინამო" (თბილისი) 0:1 (0:0).

`დნეპრი": შატოხინი, ლისენკო, მატვიენკო, სკლიარი, პეტრუხინი, ტროშკინი, ტომახი, მოტუზი, კუცევი, მასლოვი, კრამარენკო.

`დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები - 0:1 გოლი გაიტანა ებანოიძემ.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ჩემპიონატში დააწესეს ფრედ დამთავრებული მატჩების ლიმიტი, კიდევ უფრო გაძნელდა თამაში სტუმრად, მოწინააღმდეგის მინდორზე. უმაღლეს ლიგაში ახლა მწვავე ბრძოლა წარმოებს ყოველგვარი კომპრომისის გარეშე. თუ პირველ ტურში რამდენადმე შესამჩნევი იყო `ძველის რეციდივი" და 8 მატჩიდან 4 ფრედ დამთავრდა, მეორე ტურში ფრედ აღინიშნა მხოლოდ ერთი მატჩი, მესამეში - აგრეთვე, ერთი, მეოთხეში - არც ერთი და მეხუთეში - ერთი. ჩემპიონატში ნათამაშევია 38 მატჩი, ფრედ მათგან დამთავრდა კი მხოლოდ 7!

ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა ძნელი მატჩი ელოდა დნეპროპეტროვსკში თბილისის `დინამოს". ცხადია, `დნეპრი", რომელმაც წინა 4 ტურში 3 მარცხი განიცადა და აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდა, იბრძოლებდა ძალების მაქსიმალური დაძაბვით, მთელი შესაძლებლობით, რათა შინ, საკუთარი გულშემატკივრების წინაშე მიეღწია წარმატებისთვის და გამოესწორებინა საქმეები. თბილისელთა მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ გუნდს აკლდა მთავარი ბომბარდირი, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში გაწვეული რ. შენგელია.

მასპინძლები შეეცადნენ თავიდანვე ხელთ აეღოთ ინიციატივა და აქტიური თამაში წარემართათ, მაგრამ პირველმა 45 წუთმა განვლო ისე, რომ `დინამოს" კართან რეალური ხიფათი არ შექმნილა, თუმცა დაცვისა და ნახევარდაცვის რგოლებს მძიმე ბრძოლის წარმოება მოუხდათ შუა მინდორში. სამაგიეროდ, ჩელებაძეს და ყიფიანს ორჯერ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღწიათ წარმატებისთვის.

ასევე დაძაბულად მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგ. ორივე კართან იმატა სახიფათო მომენტებმა, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანდა, და უკვე მაშინ, როცა თითქოს ფრე გარდაუვალი იყო და მატჩის დამთავრებას სულ 4 წუთი აკლდა, თბილისელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, ყიფიანმა მიიღო გუცაევის გადაცემა, ზუსტად დაარტყა და ღირსეული გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს - 1:0.

“ ლელო”, 4.V.78